სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №08/27

ქ.რუსთავი 11 მაისი 2012 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „სილქნეტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის კომერციულ დარგში ნუგზარ ჩინჩალაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სააბონენტო მომსახურება (CPV 64200000)

2.2 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღწერა მოცემულია დანართ№1-ში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 188 (ასოთხმოცდარვა) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სს „სილქნეტი“–ს გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;

ბ) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

გ) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი

6.2 მომსახურების მიწოდების ვადა 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხისინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევია ფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „ მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,3%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **3%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	"მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	სს „სილქნეტი"
მის: ქ. რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20	მის: ქ თბილისი წინამძღვრიშვილის ქ №95
საიდენტიფიკაციო კოდი №216433287	საიდენტიფიკაციო კოდი №204566978
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"-ს
ბ/კ № LBRTGE22	ბ/კ № BAGAGE22
ა/ა № GE78LB0125148543037000	ა/ ა №GE41BG0000000878415000
თვითმმართველიქ.რუსთავისსაკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახა ბარბაქაძე	სს „სილქნეტი"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში ნუგზარ ჩინჩალაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: მ. აფციაური

დანართი №1
„აბონენტის“ მიერ მისაღები „მომსახურებ(ებ)ის“ ჩამონათვალი

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი დადებულია 2012 წლის 11 მაისს

წინამდებარე დანართით და „ხელშეკრულებით“განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, „აბონენტის“ „კომპანიისაგან“ იღებს ქვევით მოცემულ „მომსახურებებს“.

თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე დანართით:

1. „მომსახურების ღირებულება“ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ-ს);

ნომრების ჩამონათვალი: 5 70 10 99 98

„კომპანია“ „ აბონენტს“ გაუწევს მომსახურებას საავანსო საგადასახადო სისტემით შემდეგი ტარიფებით:

სილქნეტის **S1** (1 ცალი) აპარატის ერთჯერადი გადასახადი - 28.00 ლარი;

ერთიVIPსატელეფონონომრის () ერთჯერადიგადასახადი -.00 ლარი

თითოეულ ტელეფონზე ყოველთვიური საბონენტო გადასახადი – 5.00 ლარი

სიმ ბარათის ღირებულება ერთ S1 სატელეფონო ნომერზე - 1.00 ლარი,

შიდაკორპორატიულქსელშიკავშირის ღირებულება – 0.00 ლარი

შიდა მობილურ ქსელში კავშირის ღირებულება – 0.00 ლარი

სილქნეტის ქსელში კავშირის ღირებულება – 0.00 ლარი

სხვა ფიქსირებული ქსელი კავშირის ღირებულება – 0.06 ლარი

მობილურ ოპერატორებთან (მაგთი, ჯეოსელი) კავშირის ღირებულება – 0.9* ლარი

მობილურ ოპერატორებთან (ბილაინი) კავშირის ღირებულება – 0.16* ლარი

1 SMS-ის გაგზავნის ღირებულება – 0.05 ლარი

*ზარის წამოწყება 0.05 ლარი

კომპანია: ს.ს.“სილქნეტი“აბონენტი: „თვითმმართველი ქალაქი რუსთავი“

ნუგზარ ჩინჩალაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

კომერციულ დარგშიდირექტორი

მინდია აფციაური
თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიის სამხედრო აღრიცხვისა

და გაწვევის სამსახურის უფროსი